



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 11

27/03/2020

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, მოახდინოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს (ს/კ 424069554) წესდების ცვლილება და თანდართული წესდების დამტკიცება, დანართის შესაბამისად.
2. რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ახალციხე, მებაღეშვილის ქ. № 62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ახალციხის მუნიციპალიტეტის
სათნოების სახლი“-ს

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ (შემდგომში „სათნოების სახლი“) წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს მე-2 თავის საფუძველზე შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს.

2. იურიდიული პირის დამფუძნებელია ახალციხის მუნიციპალიტეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 224101317). იურიდიული პირი იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

3. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

4. იურიდიული პირის სრული დასახელებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“.

5. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს აქვს ბეჭედი, შტამპი, საბანკო ანგარიში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. იგი საკუთარი სახელით ახორციელებს თვის უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

6. სამართლებრივი ფორმაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

7. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს იურიდიული მისამართია - ქალაქი ახალციხე, 0800, კოსტავას ქ. N 18.

მუხლი 2. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს სამართლებრივი საფუძველები

1. საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ეს წესდება, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.

2. საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ უფლებამოსილია გამოიყენოს და დადგენილი წესით განკარგოს მისთვის გადაცემული ქონება და ფინანსური სახსრები, გადაწყვიტოს მის კომპეტენციაში შემავალი ყველა სხვა საკითხი.

მუხლი 3. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ის მიზნები და ამოცანები

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პენსიონერის, მარტოხელას, უკიდურესად გაჭირვებული, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა, ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული წესის შესაბამისად;

2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული, მარტოხელა, სოციალურად დაუცველი მოქალაქის ხელშეწყობა;

3. უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეთათვის თავშესაფრის უზრუნველყოფა (ლამის გასათევი ფართი, ჰიგიენის დაცვის საშუალებები და სხვ.) კეთილმოწყობილი სათანადო გარემოთი.

მუხლი 4. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ში ბენეფიციართა ჩარიცხვის წესი

სათნოების სახლში, უფასო კვებით მოსარგებლე ბენეფიციართა ჩარიცხვას ახდენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია, ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული შესაბამისი წესის თანახმად.

მუხლი 5. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ის უფლებამოსილება

„ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

ა. მიიღოს მონაწილეობა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში.

ბ. დააწესოს კონტროლი სისტემაში განხორციელებული საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე.

გ. დაამყაროს ურთიერთობა სხვადასხვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაცია-დაწესებულებებთან, აგრეთვე სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

მუხლი 6. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს ვალდებულება

1. „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ ვალდებულია:

ა) დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში აწარმოოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშგება, დროულად უზრუნველყოს სათანადო ინფორმაციის წარდგენა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში;

ბ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხი აგოს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

გ) გაუწიოს კოორდინირება ა(ა)იპ-ისათვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ ხარჯვას;

დ) მოახდინოს ამ წესდების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მატერიალური და არამატერიალური სახსრების განაწილება შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის;

ე) გაუწიოს კონტროლი მართვაში გადაცემული ქონების დაცვასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

ვ) მიიღოს იურიდიული და ფიზიკური პირების წერილები, განცხადებები და განიხილოს ისინი საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით განსაზღვრულ ვადებში.

ზ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 7. „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ საქმიანობის ორგანიზაცია და სტრუქტურა

1. სათნოების სახლის საქმიანობას წარმართავს, ორგანიზებას და კოორდინაციას უწევს „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს დირექტორი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი აძლევს თანხმობას წარმოდგენილი იურდიული პირის სტრუქტურის, სამტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცებაზე.

3. „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს დირექტორი:

ა) წარმართავს „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს საქმიანობას და პასუხისმგებელია „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს წინაშე არსებული ამოცანების შესრულებაზე.

ბ) დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას თანამშრომელთა საქმიანობაზე.

გ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დაქვემდებარებულ სფეროში დასაქმებულ თანამშრომლებს.

დ) ამტკიცებს „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მუშაობის შინაგანაწესს.

4. „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი.

მუხლი 8. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს სამეურნეო საქმიანობა, საკუთრება და შემოსავლები.

1. „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო და სამეურნეო საქმიანობა, საფინანსო აღრიცხვა-ანგარიშგება. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს სამეურნეო საქმიანობის შედეგები აისახება წლიურ ანგარიშში, რომელიც წარედგინება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს.

2. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს დაფინანსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები,

ბ) შემოწირულობები,

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები, კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიზნების და ფუნქციების განხორციელებას. სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს ქონებას შეადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ამ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 9. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს შეუძლია ახალციხის მუნიციპალიტეტის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონების გასხვისება და დატვირთვა,

ბ) სესხის აღება,

გ) თავდებობა,

დ) სხვა გადაწყვეტილებები ა(ა)იპ -ის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივ საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 10. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს კონტროლი და ანგარიშგება.

„ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ თავისი უფლებამოსილების ამოცანების გადაწყვეტასა და განხორციელებისათვის ანგარიშვალდებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის წინაშე.

მუხლი 11. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება(მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი) ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი:

ზაზა მელიქიძე